ДЕРЕВНЕЛИ ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 14 (12830) | პარასკევი, 17 იანვარი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს მუშაობას შეუდგება თბილისის XXXI საქალაქო პარტიული კონფერენცია

სალამი კონფერენციის დელეგატებს!

თბილისის მშრომელთა ავანგარდი

დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების მიერ არჩეული დელეგატები შეიკრიბებიან მორიგ პარტიულ კონფერენციაზე და დიდ, საქმიან სჯა-ბაასს გააჩაღებენ გაწეული მუშაობისა და მომავლის უფრო ფართო გეგმების შესახებ.

თბილისელ კომუნისტებს კი რაოდენ ბევრი აქვთ სათქმელი! აი თუნდაც ის, თუ რით მოვიდნენ ისინი თავიანთ კონფერენციაზე.

ახალი შრომითი გამარჯვებებით, შემოქმედებით სავსე იყო მათთვის საანგარიშო პერიოდი, განსაკუთრებით კი შვიდწლედის მეხუთე წელი. თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით აქტიურად იბრძოდნენ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. მათ ვადამდე, 24 დეკემბერს შეასრულეს საერთო პროდუქციისა და მეტი წილა უმნიშვნელოვანესი ნაწარმის გამოშვების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა, სამრეწველო წარმოების მოცულობა წინა წელთან შედარებით 9,8 პროცენტით გადადგეს.

სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულება ყველაზე ადრე უპატაკეს სამშობლოს ელმავალმშენებლებმა, საშენ მასალათა კომბინატის, კომუნისტური შრომის საწარმოს — კერამიკული კომბინატის და სართავსტრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივებმა. საანგარიშო პერიოდში მწყობრში ჩადგა ქალაქის მრეწველობის, ტრანსპორტის, საქალაქო მეურნეობის კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 50-ზე მეტი ობიექტი. რამდენი სიახლე, ინიციატივა, თაოსნობა დაიბადა საწარმოებში, მშენებლობებზე, ჩვენი ქალაქის შრომისა და ცხოვრების ყველა უბანზე! სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებს მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის, იზრდება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგები, სულ უფრო ფართო გაქანება ეძლევა საზოგადოებრივ საწყისებს მშრომელთა კოლექტივებში.

ორი წლის მანძილზე კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეთა რიცხვი 75 ათასამდე გაიზარდა. 2.500-ზე მეტი საწარმო, საამქრო, ბრიგადა და უბანი ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელს ან ამ საპატიო წოდებისათვის იბრძვის.

შვიდწლედის წლებში ქალაქის საწარმოებში დანერგილია 25 ათასზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგადაც მიღებულია 16 მილიონ მანეთამდე ეკონომია.

საანგარიშო პერიოდში უფრო მჩქეფარე და სისხლსავსე გახდა ქალაქის იდეური ცხოვრება. ამას კი დიდად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაჩაღებულმა ბრძოლამ. გაჩნდა პოლიტიკური მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, მშრომელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

ამაღლდა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. პარტიულ მუშაობაში სულ უფრო და უფრო ფართოდ ჩაებნენ ახალი კადრები. მარტო გასულ წელს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებად 702 ახალი ამხანაგია არჩეული. პარტიის რაიონულ კომიტეტებთან, პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან მუშაობენ ასობით შტატგარეშე კომიაღები, განყოფილებები, შტაბები.

ამჟამად ჩვენი ქალაქის კომუნისტები აქტიურ ბრძოლას აჩაღებენ იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. რაიონული პარტიული კომიტეტების პლენუმებმა და აქტივის კრებებმა, რომლებიც ამ დღეებში გაიმართა, ცხადყო, თუ რა დიდი გეგმები და პერსპექტივები აქვთ ქალაქის მშრომელებს „დიდი ქიმიის“ დაჩქარებული განვითარებისათვის.

ორ კვირაზე მეტია, რაც დაიწყო ახალი, შვიდწლედის მეექვსე წელი. იგი მეტად დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე აყენებს დიდქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს, თვითეულ კომუნისტს, თვითეულ მშრომელს. ჯერ კიდევ ხომ არიან ჩამორჩენილი საწარმოები, საამქროები, ბრიგადები!

ზოგიერთ მსხვილ საწარმოში, მათ შორის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ, ფოლად-თუჯსასხმელ ქარხნებში, საერთო პროდუქციის გეგმის შესრულებისას ვერ დაიცვეს ნაკეთობათა დადგენილი ნომენკლატურა. ბევრია გასაკეთებელი ტექნიკური პროგრესის საქმეშიც. ეს საკითხი ყველგან არა დგას პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

ნაკლოვანებებია მშრომელთა აღმზრდელობითს მუშაობაში, ადგილი აქვს სოციალისტური კანონიერების დამახინჯებას, დანაშაულის ფაქტებს. ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი დგას მოწოდების სიმაღლეზე. ეს და სხვა გადაუჭრელი საკითხები პარტიული კონფერენციის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

თბილისის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 57.600-ზე მეტ კომუნისტს თავის მორიგ კონფერენციაზე საქმიანად, პრინციპულად, მაღალ დონეზე განიხილავს ცხოვრების მომწიფებულ საკითხებს და რესპუბლიკის მორიგ, XXII პარტიულ ყრილობაზე მივა თავისი მომავალი მოღვაწეობის ხაღი, მოფიქრებული, კონკრეტული გეგმით.

საუბროგენ დელეგატები...

სასახელო შრომითი საქმეებით ხვდებიან თბილისის კომუნისტები თავიანთ XXXI საქალაქო პარტიულ კონფერენციას. საუკეთესოთაგან საუკეთესონი არჩეული არიან მის დელეგატებად.

გუშინ ჩვენს რედაქციას ეწვია კონფერენციის დელეგატთა ჯგუფი. მათ გაგვიზიარეს თავიანთი ფიქრები, ვვიამბეს წარმატებებზე, მომავალი მუშაობის გეგმებზე.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ, თუ როგორ ესაუბრებიან დელეგატები ერთმანეთს. მაგიდას უსხედან: ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ელექტროზეინკალი, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი მიხეილ დიომკინი; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის 26 კომსისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ხარატი მირდატ აკოფოვი; საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი, თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ნიკოლოზ კიკვაძე; ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი.

შუმსაქსოი ფაბრიკის ბრიგადირი გალინა რაჭველიშვილი. დგანან: ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ელექტროზეინკალი, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრი მიხეილ დიომკინი; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის 26 კომსისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ხარატი მირდატ აკოფოვი; საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი, თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი ნიკოლოზ კიკვაძე; ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დირიჟორი გივი აზმაიფარაშვილი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისტთა ჯგუფი საქართველოში

მთელი საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით სწავლობს და ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს. სემინარები, პოლიტსკოლები, პარტიული განათლების წრეები ამ გადაწყვეტილებებს უძღვნიან სპეციალურ მეცადინეობას. მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა კრებებზე გამოდიან მეცნიერები, პარტიული მუშაკები. საინტერესო და სახარგებლო მუშაობა გასწია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების პროპაგანდისტულმა ჯგუფმა, რომელიც საქართველოში იმყოფება. ჯგუფის წევრები იუწყნენ რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და სოფელში, მოაწყვეს ლექციები და საუბრები თემებზე: „დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების პროგრამაა“, „დეკემბრის პლენუმი და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება“ და სხვ.

ამ დღეებში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში შეიკრიბა 600-ზე მეტი კაცი — ლექტორები, მსხვილ პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, ქალაქის პარტიულ-სამეურნეო აქტივი. მათ ლექციები წაუკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების პროპაგანდისტული ჯგუფის წევრებმა დეკემბრის პლენუმის, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიონში სტუმრები შეხვდნენ მინისტრებს, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოთა უფროსებს, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკებს. აქ გაიმართა საუბარი შიგა დაგეგმვისა და საწარმოო რეზერვების გამოყენების საკითხებზე. პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე აზრთა გაზიარება გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჯგუფმა საინტერესო საუბრები მოაწყო თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანასა და ქალაქის სხვა საწარმოებში, ლექციები წაიკითხა პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტის იდეოლოგიური მუშაკებისათვის, კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის ორწლიან უნივერსიტეტში ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირული მუშაკებისათვის. (საქდისი).

თბილისელები შრომითს ვახტზე

შვიდწლედის მიჯნა აღეგულია

შვიდწლედი შეკვარულოთ ხუთ წელიწადში — ასეთი მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა. შემართებითმა შრომამ დადებითი შედეგი გამოიღო. 1963 წლის ბოლოს ქარხნის კოლექტივმა იმდენი ელმავალი გამოუშვა, რაც შვიდწლედის ბოლოსათვის იყო გათვალისწინებული. აქვე აღსანიშნავია ის, რომ წარმოება წლითიწლობით აუმჯობესებს ეკონომიურ მაჩვენებლებს. შარშან ოვითღირებულების შემცირებით რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 120 ათასი მანეთი.

განვლილ პერიოდში ელმავალმშენებლებმა შექმნეს ახალი გაუმჯობესებული ქართული ელმავალი, რომელსაც სერიულ წარმოებაში მყოფ ელმავალთან შედარებით დიდი უპირატესობანი აქვს. ელმავალმა საწარმოო გამოცდა ბრწყინვალედ ჩაბარა და მიღებულია სერიული წარმოებისათვის.

ახალი წლის პირველი დღიდანვე წარმოების კოლექტივმა კიდევ უფრო გაძლიერა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება და რიტმულად, გამართულად მიიწევს წინ შვიდწლედის ახალი მიჯნების დასაპყრობად. ამის დადასტურებაა იანვრის პირველი ნახევრის შედეგები. აქ ყველა საამქრო გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას, მაგრამ ყველას გაუსწრეს საავარატო, სამანქანო-მექანიკური და ლითონკონსტრუქციების საამქროებმა, რომლებსაც ვ. ტალახაძე, ა. ტალახაძე და მ. შუბითიძე ხელმძღვანელობენ.

ცალკეულ დამკვრელებს შორის თავი ისახელეს საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატებმა ხარატმა ა. გეტაშვილმა, ზეინკალმა მ. დიომკინმა და მეყალიბე ლ. ნიკოლაშვილმა. თვითეული მათგანის ყოველდღიური გეგმის შესრულება 120-130 პროცენტს აჭარბებს.

კომუნისტური შრომის საწარმოში

თბილისი. კერამიკულმა კომბინატმა, რომელიც ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელს, გასულ წელს შესანიშნავად იმუშავა და წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვა 143 ათასი მანეთის პროდუქცია. ეს დიდად აღემატება იმ ვალდებულებას, რომელიც ამ კომბინატის კოლექტივმა საქართველოს კომპარტიის მომავალი ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით იკისრა.

დიდი შვიდწლედის მეექვსე სამეურნეო წლის პირველი ორი კვირის შრომითი შედეგები მოწმობენ, რომ კომბინატის სახელოვანი კოლექტივი კიდევ უფრო ენამტკიცებს მოპოვებულ მიღწევებს და მონდომებით ებრძოლება ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. განვლილ ორ კვირაში აქ საერთო პროდუქციის გამოშვების საწარმოო დავალება 112 პროცენტით არის შესრულებული, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 9.000 მანეთის პროდუქცია.

შრომაში დაწინაურდა საგამომწველო საამქრო, რომელსაც ვ. ჭეფხოძე უძღვება. ამ საამქროს კოლექტივმა ორი კვირის საწარმოო დავალება 101,8 პროცენტით გაანაღდა და რამდენიმე ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. ბრიგადებს შორის თავი ისახელა მომჭიქურებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც უნარიანად უძღვება ფ. კასრელიშვილი. ამ ბრიგადამ ორი კვირის დავალება 112 პროცენტით გაანაღდა. ბრიგადის წევრები რ. ბაქარაშვილი, ქ. ბეგიაშვილი, ნ. ნარიმანიძე და სხვ. ყოველდღიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

დიდი გამარჯვება

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს გამარჯვება ტაჯიკეთის შრომელებს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ბამბის დამზადების სახელმწიფო გეგმა. (საკდისი).

გავამართლებთ პარტიის ნდობას!

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის დადგენილება

14-15 იანვარს გაიმართა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინურმა კომუნისტურმა კავშირმა, საბჭოთა ახალგაზრდობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესრულებაში — „ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა“. პლენუმმა მოისმინა და განიხილა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ს. პ. პავლოვის მოხსენება და მიიღო დადგენილება ამ საკითხზე.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა წამოაყენა ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამა, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მთავარი ეკონომიური ამოცანის — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანის გადაწყვეტისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა კომკავშირს, ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს კიდევ მეტი ძალღონე, ენერგია მოახმაროს ქიმიური ინდუსტრიის განვითარებას, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომუნისტური საზოგადოების მატერიალური ბაზის შექმნაში. კომკავშირელებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას თავიანთ სასიცოცხლო საქმედ მიაჩნიათ იყონ დიდი ქიმიის მშენებელთა პირველ რიგებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წელი) პლენუმის შემდეგ ქალიშვილები და ჭაბუკები აქტიურად მონაწილეობენ ქიმიურ საწარმოთა აგებაში, კომკავშირული საგზურებით 160 ათასზე მეტი ახალგაზრდა მოხალისე შეიმატა ქიმიის მშენებელთა არმიაში.

კომკავშირის კომიტეტებმა, სამრეწველო-კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, დამკვრელურ მშენებლობათა შტაბებმა, „კომკავშირული პროექტორის“ რაზმებმა ბევრი ძალღონე მოახმარეს იმას, რომ თავის დროზე ჩამდგარიყვნენ მოქმედთა მწყობრში ქიმიის ისეთი გიგანტები, როგორიც არიან ლისიჩანსკის, ნევინომისკის, ნოვომოსკოვსკის, სარატოვის ქიმიური კომბინატები, ბარნაულის ქიმიური ბოჭკოების კომბინატი, ომსკის, სტერლიტამაკის სინთეზური კაუჩუკის ქარხანი და სხვა საწარმოები. კედაინიაის ქიმიური კომბინატის, კინნისპის ფოსფორიტის მაღაროს, კომბინატ „აპატიტის“ და ბევრი სხვა საწარმოს ახალგაზრდა მშენებელთა და მემონტაჟეთა კოლექტივებმა კარგად იშრომეს იმისათვის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის აღსანიშნავად ვადამდე აეშენებინათ ობიექტები, რომლებიც მინერალურ სასუქებსა და საწყის ნედლეულს უშვებენ.

კემეროვოსა და ვოსკრესენსკის ახალგაზრდა ქიმიკოსები წარმოების ყველა რეზერვის ძიებისა და გამოყენებისათვის შეჯიბრების ინიციატორები არიან.

მაგრამ, როგორც სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, ცალკეული კომკავშირული ორგანიზაციები უარგდებიან იმას, რომ დიდი ხანია იფუშება ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო გეგმები, ჭიანურდება ახალ წარმოებათა სიმძლავრეების ათვისების ვადები, მშენებლობებზე ჯერ კიდევ დაბალია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი. ნაკლები ყურადღება ეთმობა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების ორგანიზაციას, ახალგაზრდა მშენებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც კადრების დიდ დენადობას იწვევს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები მოითხოვს სულ უფრო გადიდდეს ახალგაზრდობის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა კომუნისტურ მშენებლობაში.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, მომავალ შვიდ წელიწადში ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, მიიღო გადაწყვეტილება მათი განუხრელად შესრულების შესახებ. კომკავშირის, ჩვენი ქვეყნის ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქიმიური ინდუსტრიის განვითარების გეგმების განხორციელებაში.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა ყველა კომკავშირელს, ქალიშვილსა და ჭაბუკს გახდნენ დამკვრელური ქიმიური ფრონტის აქტიური მებრძოლები, პირველი შრომითი წვლილი შეიტანონ მძლავრი ქიმიური მრეწველობის შექმნაში.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოუწოდა საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებს, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეებს პირველნი წავიდნენ ქიმიური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს უბნებზე.

საშენ მასალათა მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, სათბობის მრეწველობისა და ენერგეტიკის ახალგაზრდა მუშათა და სპეციალისტთა მოვალეობაა მთელი ძალღონე მოახმარონ იმას, რომ ქიმიისა და ქიმიური მანქანათმშენებლობის საწარმოს შეუფერხებლად უზრუნველყოფდნენ საშენი მასალებით, ლითონის ნაწარმითა და ნაგლინით, სათბობითა და ენერგიით.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოუწოდა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს, ინჟინრებს, დამპროექტებლებს, კონსტრუქტორებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ საქმეში, რომ შეიმუშაონ და რაც შეიძლება სწრაფად დანერგონ წარმოებაში ქიმიური მასალები, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

საბჭოთა ახალგაზრდობა მტკიცედ უნდა დაეუფლოს ქიმიის ცოდნას, სკოლის და სტუდენტობის წლებიდანვე მოემზადოს სახალხო მეურნეობის ქიმიზაციაში აქტიური მონაწილეობისათვის.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ ობიექტებად გამოაცხადა ქიმიური, ნავთობგადასამუშავებელი და ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის 94 საწარმოს, მათ შორის 38 მინერალური სასუქების საწარმოს მშენებლობა. ლენინური კომკავშირის ღირსების საქმეა ყარაფატუს მინერალური სასუქების უნიკალური საბადოს ათვისება. ათასობით ახალგაზრდა მოხალისე — საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები გაიგზავნებიან კომუნისტური მშენებლობის დამკვრელურ ფრონტზე — ქიმიის სრულიად საკავშირო კომკავშირულ მშენებლობებზე.

საუკეთესო კომკავშირული ორგანიზაციებისათვის, მშენებლობათა ახალგაზრდა კოლექტივებისათვის, რომლებიც ხელი შეუწყონ სამშენებლო მასალებს მოიპოვებენ, წესდება სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო წითელი დროშები, აგრეთვე სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ნიშანი „დიდი ქიმიის დამკვრელური მშენებლობის მოწინავეს“.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა ნოვოკემეროვოს, ვოსკრესენსკის, ლისიჩანსკისა და ვინიცის ქიმიური კომბინატების ახალგაზრდა ქიმიკოსთა მოძრაობა მინერალური სასუქების ზეგეგმითი წარმოებისათვის და დაავალა ქიმიური საწარმოების კომკავშირულ ორგანიზაციებს გამონახონ და გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა ქიმიური პროდუქციის გამოშვებისა და გადიდებისათვის.

ახალგაზრდა კონსტრუქტორებსა და დამპროექტებლებმა ყოველი ღონისძიებით უნდა შეაჩქარონ ქიმიური წარმოების ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის ვადები, გაუმჯობესონ საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია, აქტიური მონაწილეობა მიიღონ დიდი ქიმიის შეკვეთების დროზე და ხარისხიანად შესრულებაში.

კომკავშირის კომიტეტები, სამეცნიერო დაწესებულებათა კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ახალგაზრდა მეცნიერ ქიმიკოსებს, გამოავლინონ ნიჭიერი ახალგაზრდობა მოსწავლეთა, სტუდენტთა, ახალგაზრდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შორის.

კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან მეტი ყურადღება მიაქცინ კადრების მომზადებას ქიმიურ საწარმოებში, დაეხმარონ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს სრულყოფილად დაეუფლონ ქიმიური წარმოების რთულ პროცესებს. თვითეული სტუდენტი, ტექნიკუმის მოსწავლე უფრო ბეჯითად უნდა ეუფლებოდეს ქიმიის ცოდნას, აქტიურად მონაწილეობდეს ქიმიასთან დაკავშირებულ ექსპერიმენტულ და კვლევით მუშაობაში.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა სტუდენტთა დამკვრელური რაზმების საქმიანობა სრულიად საკავშირო ქიმიის კომკავშირულ მშენებლობებზე და მოუწოდა სტუდენტებს ზაფხულის არდადეგების პერიოდში ხელი შეუწყონ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს დიდი ქიმიის საწარმოებში, რომლებიც შენდება.

კომკავშირის სასოფლო, საოლქო და სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალური კომიტეტები, საწარმოო სამართველოთა კომკავშირის კომიტეტები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და მექანიზაციის, ირიგაციისა და მელიორაციის განვითარების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გადიდების პროგრამის განხორციელებაში, რომელიც პარტიამ დასახა. თვითეულ კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადაში, რგოლში, თვითეულ ნაკვეთზე საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ მოსავლიანობის გადიდებას, 1964 წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

პლენუმმა მოიწონა უზბეკეთის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ინიციატივა, რომლებმაც გაშალეს ბრძოლა იმისათვის, რომ 100 ცენტნერი მარცვალი მოიყვანონ ყოველ ჰექტარ სარწყავ მიწაზე, და დაავალა შუა აზიისა და ამირკავკასიის, უკრაინის, ყაზახეთის, მოლდავეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ქვემო ვოლგისპირეთის კომკავშირულ ორგანიზაციებს დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სარწყავი მიწების უკეთ გამოყენებაში. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მინერალური სასუქების გადმოტვირთვისათვის საჭირო მოედნებისა და საწყობების მშენებლობაში, მოაწყონ წრიული კომკავშირული კონტროლი ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების დროს.

სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, ნათქვამია შემდეგ დადგენილებაში, ის არის, რომ შექმნან აგროქიმიური წრეებისა და კურსების ფართო ქსელი და ამ მუშაობაში ჩაბან სპეციალისტები, ქიმიის მასწავლებლები, სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლები, სტუდენტები.

საჭიროა განვაგრძოთ მექანიზატორთა საყოველთაო სწავლება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სოფლის საღამოსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ვორონეჟის ოლქის კომკავშრულ ორგანიზაციათა მაგალითისამებრ მეურნეობებში უნდა შევქმნათ სასწავლო კომბინატები, რომლებშიც შეხამებული იქნება სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტიკური და პროფესიულ-ტექნიკური სწავლა.

დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, საცდელი სადგურების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ თვითეული მეურნეობისათვის ნიადაგისა და აგროქიმიური რუკების შედგენაში. კომკავშირის კომიტეტებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ ის უფლება, რომ თავიანთი რეკომენდაციით სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში სასწავლებლად გაგზავნონ საუკეთესო ახალგაზრდა მუშაკები, მიაღწიონ იმას, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები სოფელში ბრუნდებოდნენ.

კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტები, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალური კომიტეტები, კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან გამოიყენონ ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალება, ფორმა და მეთოდი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილების ღრმად განმარტებისა და განხორციელებისათვის.

საჭიროა ყველგან მოვაწყოთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხვა მასალების ზედმიწევნით შესწავლა.

საჭიროა მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ქიმიური ცოდნის პროპაგანდა სკოლების მოსწავლეთა შორის. კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებმა, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურმა კომიტეტებმა რეგულარულად უნდა გაგზავნონ ქიმიის დამკვრელურ მშენებლობებზე, ქიმიური ინდუსტრიის საწარმოებში ახალგაზრდა მეურნეების, პიონერების, კომპოზიტორების, მსახიობების, მხატვრების, კინოს მუშაკების შემოქმედებითი ბრიგადები.

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამას მხურვალედ გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს კომკავშირელებმა, საბჭოთა კავშირის მთელმა ახალგაზრდობამ. ამის მკაფიო დადასტურებაა ის, რომ 48 მილიონზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა ერთსულოვნად მოიწონა წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

ახალი ლაშქრობისათვის მოუწოდებენ ახალგაზრდობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი. საბჭოთა ახალგაზრდობას აღფრთოვანებს ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვის მიერ გზის მამობრივად დალოცვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე.

კომკავშირელების, ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სიტყვა მისცა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობა ღირსეულ წვლილს შეიტანს ქიმიური მრეწველობის განვითარებაში, თავდადებით იშრომებს შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდი პროგრამის განხორციელებისათვის!

ПАРТИИ ДАВАДЕБАЛ ШЕВАСРУЛЕБТ

САКАВШИРО АЛКК ЦЕНТРАЛУРИ КОМИТЕТИС МЕ-4 ПЛЕНУМИ

МОСКОВИ, 14 იანვარი. კრემლის თეატრში მუშაობას განაგრძობდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი. პლენუმი შეუდგა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ს. პ. პავლოვის მოხსენების განხილვას.

მოხსენების განხილვაში მონაწილ

თბილისის პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და აქტივის კრებებზე

კომუნისტები ქიმიის ფრონტზე

დღეს მუშაობას იწყებს თბილისის მორიგი პარტიული კონფერენცია. კონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე გაიმართა დედაქალაქის რაიონული პარტიული კომიტეტების პლენუმები და აქტივის კრებები, რომლებზეც განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები.

ამ პლენუმებმა და აქტივის კრებებმა, რომლებზეც კომუნისტთა მაღალი აქტივობითა და საქმიან ვითარებაში ჩაიარა, ცხადყო თბილისელ კომუნისტთა მზადყოფნა — ყველაფერი გააკეთონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ლენინის რაიონი

თბილისის ინდუსტრიის მთავარმა არტერიამ — ლენინის რაიონმა წარმატებით დაიწყო ახალი სამეურნეო წელი, რაშიც დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიულმა გადწყვეტილებებმა. ყველგან დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა. ეს ცხადყო რაიონის პარტიული აქტივის კრებამ, რომელმაც იმსჯელა დიდი ქიმიის პრობლემებზე.

როგორც მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. აბუთიძემ**, ისე კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, ლენინის რაიონს გადამწყვეტი როლი ეკისრება არა მარტო ადგილობრივ საწარმოთა ქიმიზაციაში, არამედ რესპუბლიკის ქიმიური ინდუსტრიის განვითარებაშიც. ამ მხრივ დიდი პერსპექტივები ისახება დედაქალაქის ქიმიური მრეწველობის პიონერის — პლასტმასის ქარხნის წინაშე, რომლის პროდუქციაც შვიდწლედის ბოლოსათვის ცხრაჯერ გაიზრდება. დიდი ქიმიის შესაქმნელად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ელექტროტექნიკური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც ელმავალმშენებლებისათვის. პლასტმასის მრავალ დეტალს ამუშავებს. რაიონის ბევრ საწარმოში ფართოდ ინერგება ქიმიის მიღწევები, რაც მათ საშუალებას აძლევს დაზოგონ ლითონი, სახსრები და დეფიციტური პროდუქცია.

მაგრამ ზოგან (ციოვის სახელობის ჩარხსამშენებლო და 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნები) უნდობლობას იჩენენ ქიმიის ნაკეთობებისადმი.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ჯავახიშვილმა.**

კალინინის რაიონი

რა წვლილის შეტანა შეუძლია ქიმიის განვითარებაში დედაქალაქის არასამრეწველო რაიონს — ეს საკითხი, რომელზეც გამახვილებული იყო ყურადღება კალინინის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის **გ. გაფრინდაშვილის** მოხსენებაში და ორატორთა გამოსვლებში.

ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ საჭიროა გაძლიერდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალების პროპაგანდა, ამაღლდეს სკოლებში ქიმიის სწავლების დონე.

რაიონში განლაგებულია საქართველოს მეცნიერების შტაბი—მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც წარმმართველი როლი ენიჭება ქიმიის პრობლემების გადაწყვეტაში. კამათის მონაწილეები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ მეცნიერები უფრო მეტადო უნდა ჩასწვდნენ დიდი ქიმიის საკითხებს, განამტკიცონ შემოქმედებითი თანამეგობრობა წარმოების მუშაკებთან.

პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ.**

ორჯონიკიძის რაიონი

დიდი ქიმიის პრობლემების გადაწყვეტა, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დასახა, უშუალოდ დამოკიდებულია კადრებზე, რომლებიც ღრმად დაუფლებული იქნებიან მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ პარტიის რაიკომის პლენუმზე, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები განიხილა, დიდი მსჯელობა გაიმართა კადრების აღზრდაზე.

ორჯონიკიძის რაიონი ხომ ჩვენი რესპუბლიკის კადრების სამკვლელოა.

როგორც მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა **კ. ჭინჭალეიშვილმა,** ისე კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანებში რაიონის უმაღლეს სასწავლებლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სტუდენტთა სწავლება. მოპოვებულია პირველი სერიოზული წარმატებანი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების საქმეში. ამას ცხადყოფს გამოცდილება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებისა, რომელთა სტუდენტებს დიდმა, მუხრანისა და კრწანისის მეურნეობებში ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ პრაქტიკულად გაეცნონ და აითვისონ მეცნიერების უანლესი მიღწევები.

მაგრამ მიუხედავად ამისა ბევრგან კადრებთან მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. ორატორები შეეხნენ კადრების მომზადების გაუმჯობესების აუცილებლობას, აგროქიმიური ცოდნის პროპაგანდის გაძლიერებას, წარმოებასთან კავშირის განმტკიცებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მშრომელთა აქტივობის ამაღლებას.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.**

26 კომისრის რაიონი

ამ რაიონის ტერიტორიაზეა არა ერთი და ორი საწარმო, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ ქიმიასთან. ბევრ ქარხანაში, ფაბრიკასა და ორგანიზაციაში ფართო მასშტაბით იყენებენ ძვირფასი ლითონებისა და დეფიციტური მასალების იაფ შემცვლელებს, ამზადებენ ხელსაწყოებსა და აპარატებს ქიმიისათვის. სწორედ ამიტომ იყო, რომ პარტიის 26 კომისრის რაიკომის პლენუმზე კომუნისტებმა დიდი ყურადღებით განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი **თ. მოსხაშვილი.**

როგორც აღინიშნა, რაიონში ხორციელდება ღონისძიებანი ქიმიიურ საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, ინერგება მეცნიერების უახლესი მიღწევები, მოწინავე ტექნოლოგია. გახსნილია ახალ საწარმოთა ამენებიც. სპორტულ ნაკეთობათა ფაბრიკა წელს პირველად გამოუშვებს ზედა და ქვედა ტრიკოტაჟს ქიმიური ბოჭკოსაგან. საწარმოებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ქიმიის კაბინეტები, რომლებიც იძუშავებენ ქიმიის სიახლეთა შესწავლასა და დანერგვაზე.

პლენუმზე ორატორები არ მორიდებიან ცალკეული პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკასაც, რაც ძირითადად წარმოებაში ქიმიის მიღწევათა დანერგვისათვის გაწეულ მუშაობას ეხებოდა.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ **გ. გეგეშიძემ.**

კიროვის რაიონი

პარტიული აქტივის კრებაზე მომხსენებელი — პარტიის რაიკომის პირველი მდივანი **თ. ბელტიხინი** და სიტყვებით გამოსულნი ლაპარაკობდნენ რაიონში ქიმიისა და ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის გადადგმულ პირველ პრაქტიკულ ნაბიჯებზე. მათ აღნიშნეს, რომ ბევრ საწარმოში ფართოდ იყენებენ ქიმიურ მასალებს, რაც ხელს უწყობს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას. მაგალითად, პატონის სახელობის ელექტროშესადუღებელ მოწყობილობათა ქარხანაში შარშან პლასტმასის დეტალების გამოყენებით დიდი ეკონომია გასწიეს, ამასთან საგრძნობლად გაუმჯობესეს ტექნოლოგიური პროცესები.

ქიმიური ბოჭკოების ბაზაზე მუშაობს კოტონის წინდის ფაბრიკა. აქვე კაპრონის ნარჩენებისაგან ამზადებენ დეტალებს მსუბუქი მრეწველობისათვის. დედაქალაქის ქიმიური მრეწველობის განმტკიცებისა და სპეციალიზაციის მიზნით ქიმიური ქარხანა შეუერთდა ლაქსაღებაევების საწარმოს. მალე ქიმკომბინატში თავს მოიყრის ამკამად ქალაქში გაფანტული პლასტიკატების წარმოება.

პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა მიუთითეს რაიონში სახალხო მეურნეობის შემდგომი ქიმიზაციის დიდ შესაძლებლობებზე, წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას.

პირველი მაისის რაიონი

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ — ეს საკითხი განიხილა საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის პლენუმმა. მოხსენებით გამოვიდა პარტიის რაიკომის პირველი მდივანი **ედ. შევარდნაძე.**

პლენუმმა აღინიშნა, რომ რაიონის საწარმოებმა, რომლებიც დიდი ქიმიის მომხმარებელები არიან, გადაჭარბებით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების 1963 წლის გეგმა. არსებული რეზერვების გამოყენება, ქიმიის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა მათ საშუალებას მისცემს წარმატებით აიღონ ახალი მიჯნები. „თბილმშენინდუსტრიის“ ტრესტის უფროსი **გ. მინდელი,** ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მთავარი ინჟინერი **ვ. მირიანაშვილი** და სხვები შეეხნენ მრეწველობაში ქიმიის ფართოდ დანერგვისა და წარმოების ნარჩენთა გამოყენების პრაქტიკულ საკითხებს.

რაიკომის პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **მ. კუპრავამ.**

ოქტომბრის რაიონი

რაიონში ქიმიის პრობლემებზე მუშაობს რამდენიმე საწარმო და დაწესებულება. ამიტომ რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე მათი მუშაობის შედეგებსა და მომავლის პერსპექტივებს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო.

მომხსენებელმა — პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა **მ. დანელიამ** და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე დიდი ქიმიის შექმნის საქმეში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა **გ. ციცისშვილმა** აღნიშნა, რომ ინსტიტუტის მუშაკები ამკვამად წარმატებით წყვეტენ ახალ პრობლემებს. მომავალში კვლევითი მუშაობა უფრო ნაყოფიერ საფუძველზე ექნებათ ქიმიური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სოფლის მეურნეობის ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა **გ. გორდეზიანმა** თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკები ამიერიდან ძირითადად იმუშავებენ სასუქების შემტანი მანქანების კონსტრუირებაზე. აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **მ. ლელაშვილმა.**

მთავარი ეკონომისტის ტრიბუნა

...ცალკეულ საწარმოს... მოგების საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მისი საქმიანობის ეფექტიანობის ეკონომიურ მაჩვენებელს. როგორ მუშაობს საწარმო — საზარალოა თუ მოგებას იძლევა, ფლანგავს საზოგადოებრივ საშუალებებს თუ ამრავლებს მათ — ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოგების აღურიცხველად შეუძლებელია გამოვარკვიოთ, რა დონეზე დგას საწარმოს მეურნეობის გაძღოლა და როგორი ჭვლილი შეაქვს მას სამრეწველო-სახალხო ფონდში.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

შრომის ნაყოფი

ეუმჩინევლად შემოდის ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი ქიმია. მართალია, თბილისის ქარხანა „პლასტმასა“ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობას ეკუთვნის, მაგრამ მისი არსებობა უქიმოდ წარმოუდგენელი იქნებოდა. პლასტმასა დიდი ქიმიაა.

ვწერ თბილისის „პლასტმასის“ კომუნისტებზე. მაგიდას ეცვა ნეონის შუქი— „დღის სინათლე“. მაგრამ ვიცით თუ არა, რომ ეს თბილისის ქარხანა „პლასტმასის“ მუშათა შრომის ნაყოფია. დიახ, ადამიანთა, კომუნისტთა და კომკავშირელთა, უპარტიო მუშათა ძარღვებისა და კუნთების ენერგია „ანათებს“. თქვენ მიმგზავრებით ფოლადის მაგისტრალებზე. ელვის სისწრაფით მიქრის ქართული ელმავალი. ქართველი ელმავალმშენებლები ვერ აკვიდნენ ელმავალს, თბილისის „პლასტმასის“ ქარხნის მიერ დამზადებული დეტალები რომ არ ჰქონდეთ. ქარხანა „პლასტმასა“ აწვდის 40 სახელწოდების სხვადასხვა დეტალს თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვებს“. ბათუმის ქარხანაში დამზადებული მტვერსაბრუტები და სარეცხი მანქანები, რომლებიც თქვენს ყოფას ალამაზებენ, თავისი წარმოშობით თბილისის ქარხანა „პლასტმასასთან“ არიან დაკავშირებული. თქვენ დაგცხათ, და ამორძალი ვენტილატორი, ლამაზი, წარმოიები ესთეტიკის უკანასკნელი სიტყვით დამზადებული, ესეც „პლასტმასის“ ქარხნის მშრომელთა ხელით კეთდება. თქვენს საზეიმო სუფრას ამშვენებს ქართული ღვინოები და კონიაკი. მაგრამ იცით თუ არა, რომ მათი პოლიეთილენის საცობების დამზადება თბილისის ქარხანა „პლასტმასაში“ წარმოებს.

გავშალოთ მსოფლიო რუკა. კარიბის ზღვაში მოვძებნოთ მსოფლიო საშაქრე — კუბა. სპეციალური დაკვეთით თბილისის ქარხანა „პლასტმასა“ ამ შორეული და მახლობელი კუნძულისათვის ამზადებს საჭირო მოწყობილობებს თეგუზსაჭერი გემების ნავსადგურისათვის.

იცით თუ არა, თქვენ, რომ „პლასტმასა“...

მაგრამ გვეყოფა...

„პლასტმასა“ უშვებს 600 სახელწოდების სხვადასხვა დეტალს... ყოველ 3-4 დღეში ხდება ერთი ახალი დეტალის წარმოების ათვისება. ყველა მათგანზე საუბარი შორს წაგვიყვანდა.

მაგრამ ყველაფერზე საინტერესო ამ ქარხანაში ადამიანები. კომუნისტური შემართების ადამიანები, რომლებიც ცდილობენ დროს გაუსწრონ... აი, მათი ლოზუნგი: „ჩვენ ვიწყებთ ლაშქრობას იმისათვის, რომ 1964 წელს ვიცხოვროთ 1965 წელიწადში“. სიტყვები მოგვყავს ნ. ოქრასაშვილის ცვლის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკლები ვალდებულებიდან, რომელიც გამოქრულია საწნეხ-დამმუშავებელი საამქროს კედელზე. ცვლა იბრძვის კომუნისტური შრომის ცვლის საპატიო სახელისათვის. ამ ცვლაში მუშაობს ნაქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXI საქალაქო კონფერენციის დელეგატი მწნეხავი აბესალომ გოგოლაძე. ჭალარა, მაგრამ მხნე და ენერგიული ვაჟკაცია აბესალომი. კიკაცობამ, შრომისმოყვარეობამ გახადა იგი ქარხნის კომუნისტთა რჩეული.

კომუნისტური შრომა სულ უფრო მკვიდრდება ქარხანაში. კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი — ამ კრიტერიუმით აფასებენ ადამიანებს ამ ქარხანაში. აქ ორი ბრიგადა — ჯ. ბალხამიშვილისა და დ. ვაშაკიძისა — ატარებს კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისათვის მზადების დღეებში აქ რამდენიმე ათეულმა მუშამ მოიპოვა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. მათ შორის პირველ რიგში ასახელებენ კომუნისტ ა. მთავრიშვილს, კომკავშირელ ლ. გათენაშვილს, მუშებს ნ. ცომაკურიძეს, ვ. პავლოვს და მრავალ სხვას. უდავოდ დიდი წარმატება მოიპოვა სამსხმელო საამქროს ცვლამ, რომელსაც კომკავშირელი ნუგზარ გომარელი ხელმძღვანელობს. იგი კომუნისტური შრომის ცვლა გახდა.

კომუნისტური შრომა — აი საუკეთესო რეკომენდაცია კომუნისტთა ლენინურ გვარდიაში შესასვლელად. კომუნისტური შრომის ბრიგადის თავკაცი ჯუმბერ ბალხამიშვილი ამ დღეებში სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს. საწნეხ-დამმუშავებელი საამქროს კომკავშირელთა მეთაური უშანგი ფირანიშვილიც პარტიის წევრობის კანდიდატია. მათ გვერდით შრომობს გიგი ბასიაშვილი. იგი ყველაფერს ასწრებს. სპორტის ოსტატია ჭიდაობა „სამბოში“, უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მეორე კურსზეც სწავლობს, შესანშნავად ფლობს მბურღავის პროფესიას. ასეთი ადამიანებითაა ძლიერი ქარხანა „პლასტმასის“ პარტიული ორგანიზაცია. იგი შრომაში აღზარდეს კომუნისტებმა და ახლა თავის რიგებშიც მიიღეს. ასე იზრდებიან ადამიანები ქარხნაში. ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ ქარხნის კომუნისტები ციფრებსა და პროცენტებს უკან ხედავენ ადამიანს, ზრუნავენ მასზე, ზრდიან მას კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპებზე. ეს არის მათი ყველაზე დიდი გამარჯვება.

ქარხანა „პლასტმასაში“ რაციონალიზატორულ წინადადებათა შემუშავება და დანერგვა შემდეგი მოსაზრებებით არის საინტერესო. ჯერ ერთი, ის იძლევა დიდ ეკონომიურ ეფექტს. მეორე — ზრდის მუშების კოლექტივიზმის სულისკვეთებით. მესამე — იგი ინტერნაციონალური აღზრდის საშუალებაც არის. მეოთხე — აქ მუშავდება კოლეგიალური მუშაობის პრინციპები, მეხუთე — წარმოების თეორიული აზრისა და პრაქტიკის შერწყმა, მეექვსე — ეს პროცესი პარტიის წევრთა და უპარტიო კომუნისტთა მჭიდრო დარაზმვის ნაცადი საშუალებაც არის. ასე ესმით ეს საკითხი ქარხნის პარტიულმა მდივანს ნ. ჩიქვილაძეს, ქარხნის კომუნისტებს. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. კომუნისტებმა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ლ. თარგამაძემ, ტექნიკური განყოფილების უფროსმა ო. ბაბუშვილმა, ლაბორატორიის უფროსმა უპატარი ი. მეგრელიშვილმა და ლაბორანტმა ა. აგაპოვამ ერთად შეიმუშავეს რაციონალიზატორული წინადადება კამერა-ეკლის არმატურის მოწებების სპეციალური ტექნოლოგიის შესახებ. ამ წინადადებამ დიდი ეკონომია მისცა წარმოებას.

ცნობამ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მოწვევის შესახებ გამოაცოცხლა მუშათა გონებრივი და ფიზიკური ძალები, გაამაფრა მათი შემოქმედებითი აზრი.

— მარტო ამ ღირსშესანიშნავ დღეებში, — ამბობს ქარხნის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბიუროს თავმჯდომარე ვეტერანი კომუნისტი მიხეილ მერაბიშვილი, — ჩვენს ქარხანაში დაინერგა 17 ახალი რაციონალიზატორული წინადადება. გასულ წელს 82 რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანეს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალმა. ამ მოძრაობას სათავეში უდგანან კომუნისტები. თვითონ მ. მერაბიშვილი კომუნისტური ხასიათის განსახერებაა. იგი პერსონალური პენსიონერია, მაგრამ გულსა ვერ მოუთმინია და მაინც მოვიდა მშობლიურ ქარხანაში და აქ მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებს. ჭკოთხეთ რაციონალიზატორებს —ინჟინერ ნ. ჭეიშვილს, ელექტრომონტიორებს ვ. სეროგეევს და თ. ტკაჩენკოს, და მოგითხრობენ ამ ვეტერანი კომუნისტის გულისხმიერებაზე.

ბევრი რამ აქვთ საინტერესო ქარხანაში, მაგრამ ყველაზე დიდი სიახლე სკკპ დეკემბრის პლენუმისათვის მზადების დღეებში მაინც როტორული ხაზია, რომელიც მეორეა საბჭოთა კავშირში მოსკოვის (ავტოჩაროვის) პლასტმასის ქარხნის შემდეგ. ეს არის კომპლექსურ-ავტომატიზებული დანადგარი, დიდი წარმადობისა და ეფექტური. პლასტმასის ქარხნის კომუნისტები უმადლიან თბილისის კიროვისა და 26 კომისრის სახელობის ქარხნების კომუნისტებს როტორული ხაზის დადგმაში დახმარებას. ასე იქედება წარმოების პროცესში შრომითი თანამეგობრობა, კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი. როტორული ხაზი თბილისის მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კომუნისტთა შემოქმედებითი მეცნიერული ძიების ნაყოფია.

ქარხნის კომუნისტები სათავეში უდგანან ყოველივე ახლის დანერგვას წარმოებაში. მათ მოაწყეს საზოგადოებრივ საწყისებზე ეკონომიური ანალიზის ბიურო, რომელსაც კომუნისტი ვ. პივნენკო ხელმძღვანელობს. ეს ბიურო წარმოების „უმაღლესი მათემატიკაა“ არის შეიარაღებული და ყოველივე ახალს ეკონომიური ანალიზის „რენტგენის სხივებით“ აშუქებს. ამოწმებს და რეკომენდაციას აძლევს წარმოებაში დასანერგავად. ასე დაინერგა ქარხნის პრაქტიკაში სოციალისტური შეჯიბრების ყოველდღიური შეჯამება, შედეგებისათვის ანალიზის გაკეთება. მუშაობის ყოველდღიურ შეჯამებას და მის ეკონომიურ ანალიზს ქარხნის კომუნისტები სავსებით სწორად თვლიან წარმოების მართვაში ფართო მასების ჩაბმის არსებული ფორმების განვითარებად.

— დეკემბრის პლენუმის შემდეგ, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში, — ამბობს ქარხნის კომუნისტთა თავკაცი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი ნ. ჩიქვილაძე, — ჩვენ თვალსაჩინო აგიტაციის ატრიბუტები შევცვალეთ. ახლა უნდა გამოვხატოთ მთავარი: „...პლუს სანალმო მეურნეობის ქიმიზაცია“.

ღამდიდარი საამქროები. თვალს ზვდება გაფორმებული ლოზუნგები, ციფრები, ფაქტები, რომლებითაც ეგებება ქარხნის კოლექტივი საქართველოს კპ XXII ყრილობას, თბილისის კომუნისტთა კონფერენციას.

მოქმედებს მასების იდეოლოგიური აღზრდის თითქმის ყველა იარაღი. ადგილობრივი რადიოგადაცემები მოგვითხრობენ ქარხნის ცხოვრებაზე, კონკრეტული ეკონომიური ფაქტებით ეწევიან მასების პოლიტიკიურ აღზრდას.

ქარხნის კომუნისტები მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კომუნისტთა ორგანიზაციასთან ერთად აწყობენ ტექნიკურ-ეკონომიურ კონფერენციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალებზე. მზადდება თეორიული კონფერენცია „დეკემბრის პლენუმი და დიდი ქიმიის განვითარების ამოცანები“. ეს არის წარმოების და მეცნიერების დაახლოების, შერწყმის ლოზუნგი მოკმედებაში.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით, შრომაში მობილი გამარჯვებებით, ხვალინდელ სიმაღლეთა აღებაზე ფიქრით, ცოცხალი აზრის შემართებით ხვდებიან ქარხანა „პლასტმასის“ კომუნისტები პარტიის თბილისის საქალაქო კონფერენციას. მათ იციან, რომ რესპუბლიკის 28 საწარმოს მუშაობა დამოკიდებულია მათს რიტმულ და რენტაბელურ მუშაობაზე.

ვლ. ალფენიძე.

* * *

სურათზე: ქარხნის კომუნისტთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) კონფერენციის დელეგატი ჩამომსხმელი ნ. ლეგანიძე, ზენეკალი გ. ვარძელაშვილი, უფროსი ელექტრომონტიორი ჯ. სიგუა, მრანდავი ა. მარკოვი, საწნეხ-დამმუშავებელი საამქროს უფროსი მ. კვაჭანტირაძე, საფუთავი განყოფილების ბრიგადირი თ. ონაშვილი, მბურღავი გ. ბასიაშვილი, დამმუშავებელი განყოფილების ბრიგადირი ა. სანაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



ვისწავლოთ ანგარიში

კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცალკეული საწარმოს მოგების საკითხს. მოგების აღურიცხველად შეუძლებელია გავიგოთ როგორი წელილი შეაქვს წარმოებას საერთო-სახალხო ფონდში.

რა გზით შეიძლება შეასრულონ ეს საპატიო ამოცანა ფაბრიკაში მომუშავე ფიქრებმა? საამისოდ არსებობს მხოლოდ ერთი გზა: გაეზარდოთ იაფი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთდროულად ვიზრუნოთ მზა ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოებაზე. მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებაზე.

როგორ მიდის ჩვენი საქმე. როგორია ფაბრიკის საწარმოო მაჩვენებლები? ფაბრიკის კოლექტივმა თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულა გასული წლის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 70.000 მანეთის ტრიკოტაჟის ნაწარმი. შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შარშან 106 პროცენტით შესრულდა. დამახასიათებელია ის, რომ გეგმის რიცხობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად მიღწეულია მაღალი თვისებრივი მაჩვენებლები. დავზოგეთ 5 ტონა ბამბის ნართი, 0,4 ტონა შალისა და 0,2 ტონა ნახევარშალის ნართი ამასთან 12,2 ათასი კილოვატსაათით, ნაკლები ელექტროენერგია დავხარჯეთ და შედეგად მზა პროდუქციის თვითღირებულება 8,5 პროცენტით შევამცირეთ. ამგვარად, საწარმოო სიმძლავრეთა ეფექტიანი გამოყენების, შრომის სწორი ორგანიზაციისა და საერთოდ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების გზით ფაბრიკამ შარშან 100.000 მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ წარმატებებში თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა იმან, რომ ახლა ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ სამეურნეო მოღვაწეობის ეკონომიურ მხარეს. ფაბრიკაში ეკონომიურ მუშაობას საერთოდ ახალი შინაარსი მიეცა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ახლა წარმოებაში არსებული მდგომარეობის პასიური ანალიზით როდი ვკმაყოფილდებით, არამედ ქმედითად ვიბრძვით გამოვლინებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ და კიდევაც ვაღწევთ თვალსაჩინო წარმატებას მუშაობაში.

ჩვენ, საწარმოში მომუშავე ეკონომისტები, მართალია, ყოველთაობრივად ვცდილობთ ჩავუწვდეთ ფაბრიკის ცხოვრების უაღლესებლივ ყველა მხარეს, მაგრამ, უეჭველია, ვერ მივაღწევთ საერთო წარმატებას, თუ ჯეროვნად არ ვიზრუნეთ კოლექტივის ყოველი წევრის ეკონომიური განათლების ამაღლებისათვის, თუ არ ჩავუნერგავთ მათ სიყვარული ეკონომიური მუშაობისადმი. ფაბრიკაში კარგა ხანია დაიწყეს ამაზე ზრუნვა. ამ დროს, როდესაც ფეიქრებს არაფრად არ მიაჩნდა ერთი წუთით მოცდენა, მას არ ეანალიზებოდა ერთი გრამი ხედლეულის დაკარგვაც. ახლა რომ შეეკითხოთ რომელიც გნებავთ ფეიქარს, თუ რა გვიჯდება ერთი გრამი მატლის ნართი, უმალ მიიღებთ პასუხს:

— 1,7 კაპიკი.

ადამიანებმა ისწავლეს ანგარიში და დაეჩვევნენ აზროვნებას შრომას. ჩვენმა ფეიქრებმა ახლა იციან, მაგალითად, რომ ერთი კილოგრამი ტრიკოტაჟის მოქსოვაზე ხედლეულის ერთი პროცენტით გადაბარკვა პროდუქციის თვითღირებულებას გაზრდის 17 კაპიკით, ხოლო თუ საქსოვი მანქანა მხოლოდ ერთი წუთით მოცდა, ფაბრიკა 60 გრამ ტრიკოტაჟს დაკარგავს. ფეიქრები რომ ასე ღრმად არიან ჩახედული საქმეში, რომ მათ იციან ერთი წუთი დროისა და ერთი გრამი ნედლეულის ფასი, ეს მათ ეხმარება გაანალიზებულ მუშაობაში და შრომა უფრო მიზანსწრაფული ხდება.

წინასწარ გაანალიზებულ ოპერატიულ-საწარმოო გეგმის შედგენას ფაბრიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ვინაიდან ასეთი გეგმა წარმოების სწორად წარმართვის საიმედო ბერკეტს წარმოადგენს. ფაბრიკაში ჩვენ დავნერგეთ დეკადური საწარმოო გეგმების მიცემის პრაქტიკა. ამ გეგმებით ცვლების, უბნების ეძლევათ მტკიცე საგეგმო დავალებანი, როლებითაც გათვალისწინებულია ის, თუ მოცემულ დეკადაში რა ასორტიმენტისა და რამდენი პროდუქციის გამოსაშვები. ასეთ დეკადურ საგეგმო დავალებათა შესრულება უზრუნველყოფს ფაბრიკის რიტმულ მუშაობას. სახელმწიფო გეგმის შესრულებას დაწესებული ასორტიმენტისა და ხარისხის მიხედვით, გამორიცხავს იერიშობანასა და მის პირმშოს — წუნს მუშაობაში. ფაბრიკაში ახლა არავის არ სჭირდება იმის მტკიცება, რომ რიტმული მუშაობა აუცილებელი წანამძღვარია საწარმოო სიმძლავრეთა სრულად გამოყენებისათვის, გეგმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებისათვის.

ფაბრიკაში ეკონომიური მუშაობის დონის ამაღლებაში. ფეიქრთა ეკონომიური განათლების გაღრმავებაში დიდ როლს ასრულებს ეკონომიური ანალიზის ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობს ფაბრიკის დირექტორი ი. ჭკუასელი. ბიურო, რომელმაც გაერთიანებულია ფაბრიკის 25 მოწინავე ადამიანი, ფრიად დიდ მუშაობას ეწევა. ღღეს წარმოუდგენელია უხელმძღვანელო ჩვენს რთულ სოციალისტურ საწარმოს, თუ არ შეგწევს იმის უნარი, რომ საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთო წარმოებაში არსებულ მდგომარეობას და ნაკლოვანებათა აღსაკვეთად დასახო ეკონომიურად დასაბუთებული რეკომენდაციები.

ეკონომიური ანალიზის ბიურო თავის სხვომებზე სისტემატურად განიხილავს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღ

საქართველოს
ლენინური
ახალგაზრდა
მებრძოლი

„მარქსისტული აზროვნების კვირეული“

პარიზი, 16 იანვარი. (საკდესი). პარიზის ერთ-ერთ უდიდეს „მუტიუალიტეს“ დარბაზში, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი, გუშინ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჟაკ დიუკლოს თავმჯდომარეობით გაიხსნა „მარქსისტული აზროვნების მორიგი კვირეული“.

ასეთ „კვირეულებს“, ფართო თეორიულ კონფერენცია-დისპუტებს ყოველწლიურად აწყობს კომპარტია. აქ განხილულვენ მარქსისტული თეორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. გამოსვლებისათვის იწვევენ თვალსაჩინო მეცნიერებსა და სპეციალისტებს — როგორც მარქსისტებს, ისე მარქსიზმისაგან შორს მდგომ ადამიანებს. წელს ძირითადი თემაა მატერიალიზმი. „მარქსისტული აზროვნების კვირეულის“ პირველი დღე მიეძღვნა ისტორიულ მატერიალიზმს.

გამოჩენილი მეგრძოლების ხსოვნა

ბერლინი, 15 იანვარი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები დღეს აღნიშნავენ გერმანიის მუშათა კლასის საქმისათვის გამოჩენილი მებრძოლების კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ავადმყოფობის 45 წლისთავს. გაზეთები ბეჭდავენ ვრცელ მასალებს, რომლებშიც ასახულია გერმანიის პროლეტარიატის ამ ხელმძღვანელთა ცხოვრება და საქმიანობა, აჭეკუნებენ ციტატებს მათი სიტყვებიდან და სტატიებიდან.

„ნოიეს დოიჩლანდი“ მოწინავე სტატიაში წერს: საქმემ, რომელსაც სიცოცხლე შესწირეს კ. ლიბკნეხტმა და რ. ლუქსემბურგმა, ახლა გაიმარჯვა გერმანიის აღმოსავლეთში. მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამკვიდრდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, გაიმარჯვა სოციალისტურმა წარმოებითმა ურთიერთობამ, მოისპო ყველა ფორმის ექსპლოატაცია და აღიკვეთა ომის პროპაგანდა. ერთი წლის წინათ, 1963 წლის 15 იანვარს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ბერლინში გაიხსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობა, რომელმაც გამოაცხადა სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის დაწყება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

იტალიის კომპარტიის დელეგაცია იუგოსლავიაში

ბელგრადი, 15 იანვარი. (საკდესი). დღეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით აქ ჩამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ჟაკ დიუკლოს თავმჯდომარეობით გაიხსნა „მარქსისტული აზროვნების მორიგი კვირეული“.

კუბა ბრალს დებს

ჰავანა, 15 იანვარი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა კუბის რევოლუციური მთავრობის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ყოველად უსაფუძვლოა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბ-ნ დინ რასკის განცხადებები, რომლებშიც აყენებს ბრალდებას, რომ კუბის მთავრობის ეგრეთწოდებული აგენტები ჩაერივნენ პანამის დრამატულ ამბებში; ეს ბრალდება ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე, რომელმაც ერთსულოვნად გამოთქვა აღშფოთება იმის გამო, რომ ამერიკის არმიამ პანამის სამოქალაქო მოსახლეობის სისხლი დაღვარა.

ელემენტარულ სერიოზულობას მოკლებულია მტკიცება, თითქოს ეგრეთწოდებული წამქეზებელი აგენტების მოქმედებას შეეძლო გამოეწვია პანამის ხალხის მასობრივი დარაზმვა, აგრეთვე ცდები უგულებელყონ ის ფაქტი, რომ პანამელი ხალხის აღშფოთებისა და მისი ერთსულოვანი გმირული წინააღმდეგობის მიზეზი იყო არხის ზონაში განლაგებული ამერიკის ჯარების სასტიკი ავრესია. პასუხისმგებლობა პანამაში მომხდარი ტრაგიკული ამბებისათვის მთლიანად ეკისრება შეერთებული შტატების იმპერიალისტურ მთავრობას, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე ლათინური ამერიკის ამ ქვეყანაში ახორციელებდა ტერიტორიული უზურპაციის, ეკონომიური ექსპლოატაციისა და ეროვნული დამცირების პოლიტიკას. ბრალდება კუბის რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ, რომ თითქოს მონაწილეობა მიეღოს ამ ტრაგიკულ ამბებში, კიდევ უფრო უთხრის ძირს შეერთებული შტატების მთავრობის პრესტიჟს კონტინენტისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის თვალში.

პანამის ამბები მოწმობენ, რომ კონტინენტის მშვიდობის დარღვევის მიზეზია არა კუბა, არამედ კოლონიზატორული პოლიტიკა, ლათინური ამერიკის ქვეყნების სუვერენიტეტისა და მათი ხალხების ეროვნული ღირსების უპატივცემლობის პოლიტიკა.

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა ინტრიგებს ხლართავენ და სიცრუეს თხზავენ კუბის რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს სიმშვიდის დამრღვევი აგენტია ამერიკაში, ფაქტები უცილობლად ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ამერიკის იმპერიალისმი არღვევს მშვიდობიან ვითარებას და თავისი კოლონიზატორული პოლიტიკით ქმნის კონფლიქტის სიტუაციებს, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო უშიშროებას.

იმის ერთადერთი გზა, რომ აღდგეს შეერთებული შტატების მთავრობის მიერ დარღვეული მშვიდობა, ის არის, რომ უთუოდ სცენ პატივი ლათინური ამერიკის ქვეყნების თვითგამორკვევას, დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ღირსებას.

კუბის ხალხი და რევოლუციური მთავრობა, რომლებსაც არ ეხეიროებათ თავი დაიცვან ესოდენ უპასუხისმგებლო ბრალდებისაგან, რაც ჯიუტი და უხეში ტაქტიკის შედეგია, არ მალავენ, რომ მორალურ მხარდაჭერას უწევენ პანამელი ხალხის ღირსეულ ბრძოლას.

ПАНАМА ПАНАМЕЛЕБЗ!

პანამის არხის ზონაში არაჩვეულებრივი სასაფლაოა. გრძელ რიგებად ჩამწკრივებულან თეთრი, მთლად ერთნაირი საფლავის ქვები, რომლების ქვეშაც განისვენებენ არხის მშენებლობაზე დაღუპული ადამიანები. 1964 წლის იანვარში დახოცილ პანამელებს სადმე სხვა ადგილს დამარხავენ. მაგრამ ისინიც არხის მსხვერპლნი, ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალიზმის სიხარბის მსხვერპლნი არიან.

პანამის არხის შესახებ მთელ მსოფლიოში ალაპარაკდნენ მანამდე დიდი ხნით ადრე, სანამ მას გაიყვანდნენ, ჯერ იმ ფრანგი ფინანსისტების სკანდალურ აფიორასთან დაკავშირებით, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს და გაკოტრდნენ, შემდეგ — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იმხანად შექმნილ პანამის სახელმწიფოს შორის 1903 წელს ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

ახლა მილიონი პანამელი ამოძრავდა. მას შემდეგ, რაც მოხდა მოსახლეობის შეტაკებანი არხის ზონაში განლაგებულ ამერიკის ჯარებთან, ლოზუნგი „პანამა პანამელებს!“ გადაიქცა ოფიციალურ მოთხოვნად, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში გაისმა.

შეერთებულ შტატებს ჯერჯერობით ისეთი პოზიცია უჭირავთ, რომელიც მხედველობაში არ იღებს პანამაში შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობას. „ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯერ-ჯერობით ნებადართეს ერების ორგანიზაციის საბჭოში ამ საკითხის მიხედვით ოფიციალურ ინსტრუქციებს, ანუ ეს ინსტრუქციები ჯერ-ჯერობით ფარულ ინსტრუქციებად ითვლებიან.

ეს ინსტრუქციები ეფუძნებიან ამ ინსტრუქციებს, ეფუძნებიან ამ ინსტრუქციებს, ეფუძნებიან ამ ინსტრუქციებს,

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ბერძენი მედეა—მაყურებელი

გუშინ თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნა დიდი ბერძენი დრამატურგის ევრიპიდეს ტრაგედია „მედეა“. მაყურებელთა შორის პირველ რიგებში იისდნენ საბერძნეთის ქალაქ პირეის „ბერძნული ტრაგედიის თეატრის“ მსახიობები, რომლებიც დღეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე თბილისელებს თვითონ უჩვენებენ „მედეას“. ქართულ სპექტაკლში მედეას როლს ასრულებდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე, ხოლო დღეს კი ამავე როლში გამოვა მსოფლიოში სახელგანთქმული „ბერძენი მედეა“ — ასპაზია პაპატანასიუ.

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ქართველ მაყურებელთან ერთად ბერძენი მსახიობები დიდხანს უკრავდნენ ტაშს სპექტაკლის ყველა მონაწილეს და, განსაკუთრებით, ვერიკო ანჯაფარიძეს, რომელმაც თავისი მაღალი ხელოვნებით ჭეშმარიტად მოხიბლა ევრიპიდეს თანამემამულენი.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ასპაზია პაპატანასიუმ, მედეას როლის მეორე შემსრულებელმა ტიტიკა ნიკიფორაკიმ, გამოჩენილმა ბერძენმა ქორეოგრაფმა ლუკიამ გულთბილად მიულოცეს ვერიკო ანჯაფარიძეს და რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილს წარმატება.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა სთხოვა ბერძენ მსახიობებს თავიანთი აზრი გამოეთქვათ მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლზე, ქართველ მედეაზე.

ასპაზია პაპატანასიუ: მე, მართალია, თეატრალური რეცენზია არასოდეს დამიწერია, მაგრამ არ შემიძლია ახლა ჩემი აღფრთოვანება არ გამოვხატო. ძალიან საინტერესო სპექტაკლია! დიდად სახიამოვნოა, რომ საქართველოში ასეთი სიყვარულით სარგებლობს ევრიპიდე, რაც, ჩემი აზრით, შემთხვევითი როდია.

ვერიკო ანჯაფარიძის მედეა პირველად ვნახე და ალბათ არასოდეს დამავიწყდება. ანჯაფარიძე ნამდვილად დიდი მხატვარია, რომელსაც საოცარი უნარი შესწევს — მაყურებელი გმირის ცხოვრების მონაწილე გახადოს. წელან ერთმა კორესპონდენტმა მკითხა, რით განსხვავდება პირეელთა „მედეა“ თბილისელთა სპექტაკლისგანო. ამ კითხვაზე პასუხი განგებ არ გავეცი. ხვალ თბილისელები ჩვენს სპექტაკლს დაესწრებიან და დე, თვითონ განსაჯონ. მე მგონი ასე სჯობს. ერთი კი უნდა პირდაპირ გითხრათ: მე ყველა მაყურებელთან ერთად ვიზიარებდი ვერიკო ანჯაფარიძის ჭეშმარიტი ხელოვნებით გამოწვეულ იმ დიდ სიხარულს, რომელიც დარბაზში მთელი სპექტაკლის მანძილზე სუფევდა.

ტიტიკა ნიკიფორაკი: ასეთ როლებს, როგორც მედეაა, ასაკი არა აქვთ. ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია სპექტაკლის, თუ შეიძლება ითქვას, ქართული ინტერპრეტაცია. მთელი დამდგმელი კოლექტივი უბრალო, სადა საშუალებებით აგებს სპექტაკლს და, ვფიქრობ, წარმოდგენის მთელი დამაჯერებლობა, სიმართლე ამ სისადავეშია.

ლუჩი: ორმოციან წლებში გერმანიაში მინახავს „მედეა“, შემდეგ ისრაელშიც. ჩემი აზრით, მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი გაცილებით მაღალ დონეზე დგას, როგორც საშემსრულებლო ოსტატობის მხრივ, ასევე რეჟისორული გაააზრებით. კარგად არის გადაწყვეტილი სპექტაკლის მუსიკალური მხარე, ხოლო ქორო ჭეშმარიტად განუყრელი, ორგანული ნაწილია მთელი წარმოდგენისა. ვერიკო ანჯაფარიძის მედეა მსახიობის დიდი გამარჯვებაა. დარწმუნებული ვარ, ქართველი მაყურებელი ჩვენს სპექტაკლზე მოვა არა მარტო საინახავად, არამედ „საპაექროდაც“. ეს ამბავი კი ძალიან ბევრს გვავალებს, ძნელი და საპატიო ამოცანის წინაშე გვაყენებს.

პირეის თეატრის მსახიობები მარჯანიშვილის თეატრში

სურათზე: ქართველ მედეას — სსრ კავშირის სახალხო არტისტს ვერიკო ანჯაფარიძეს წარმატებას ულოცავს „ბერძენი მედეა“ — ასპაზია პაპატანასიუ (მარცხნიდან მეორე). მარცხნიდან პირველი მედეას როლის მეორე შემსრულებელი ბერძენი მსახიობი ტიტიკა ნიკიფორაკი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჯანმრთელობის ახალი კერა

არც თუ დიდი ხნის წინათ აქ გადატრუსული ველი იყო. სულ რაღაც ორი-სამი წლის განმავლობაში თბილისის ამ ხრიოკ ადგილს აგებულ იქნა ვეებერთელა შენობა. ამ შესანშნავი ნაგებობის კორპუსებში, რომელთა სასარგებლო ფართობი რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრია, გაიხსნა თბილისის მე-8 კლინიკური საავადმყოფო.

ახალი კლინიკური საავადმყოფო 400 საწოლიანია. საავადმყოფოს აქვს საკუთარი აფთიაქი, ლაბორატორიები, სააბაზანო-საშხაპეები, ფიზიოთერაპიული მოწყობილობა, რენტგენის ძლიერი აპარატები და სხვ.

კაბინეტ-ლაბორატორიებს ემსახურებიან განსწავლული ქიმიკოს-ლაბორანტები, რომელთა დაკვირვებულ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული უტყუარი დიაგნოზის დასმა, ურომლისოდაც შეუძლებელია ამა თუ იმ დაავადებასთან ეფექტური ბრძოლა.

ამას წინათ აქ საპატიო სტუმრები მიიღეს. საავადმყოფოს დასთვალიერებლად მოვიდნენ ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი მომიე იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პოლიტიკის სამდივნოს დელეგაციის წევრები. დელეგაციის წევრმა, იუგოსლავიის ექიმთა კავშირის თავმჯდომარემ დოქტორმა ბ. ჯორჯევიჩმა აღნიშნა სსრ კავშირში ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონე.

საავადმყოფოს მომსახურე პერსონალი გამოირჩევა თავდადებული მუშაობით. საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ მედიცინის დები ანისიმოვა და ბოგადნოვა, ექიმები გ. კობახიძე, ვ. კიკვიძე, ო. აბულაძე, ნ. არაყიშვილი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ალ. მინდაძე და სხვ.

ა. ლეჟავა.

მამაცი მწყემსები

სიღნაღი. (საკ. კორ.). მდინარე იორის ხეობაში, „ფურცელა წყალზე“, ბოდბისხევის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მწყემსთა სადგომიდან ძლიერმა ქარმა ნაპირწყალი გაიტაცა და მინდორს ეიცხლი დაუნნდა. ხანძარი ვეებერთელა თივის ზვინებს უახლოვდებოდა, საოთხეში იყო მეძროხეობის ფერმაც.

ხანძრის ჩაქრობას პირველი ბოდბისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ბალიაშვილი შეიცადა. მალე მას მწყემსებიც მიეშველნენ. ერთ საათს ებრძოდნენ ხანძარს და კოლმეურნეობას დიდი ზარალი დაუნდა.

სექტანტების გასამართლება

ურჯუკეებს ჩამოერთვათ მშობლის უფლებანი

რიგა, 15 იანვარი. (საკრესის კორ.). საოლსის ახობით მშრომელი შეიკრიბა დაბა ვიესიტეს სახალხო სახლის მაყურებელთა დარბაზში. აქ გაიმართა ეკაბილის რაიონის სახალხო სასამართლოს გამსვლელი სესია, რომელმაც განიხილა სექტანტების — ორმოცდაათიანელთა იანისა და ზენტა ოსმების საქმე. სასამართლოზე წარდგნენ მოწმეები — ვიესიტეს საშუალო სკოლის დირექტორი ა. ლაპინია, მასწავლებელი ი. კიელენიეცი, სასოფლო-სამეურნეო არტელის „ვიესიტეს“ ბრიგადირი ა. დაბოლინი და სხვები. მათ სასამართლოს მოუთხრეს, რომ ცოლ-ქმარი ოსმები ყოველ კვირას გზაზეიან ბავშვებს პარაკლისზე, სადაც გულშემზარავად ბღავიან რელიგიური ექსტაზით გამშვებული სექტანტები. ბავშვებს უკრძალავენ იკითხონ მხატვრული ლიტერატურა, ნახონ კინოსურათი, დაესწრონ სკოლის საღამოებს, კონცერტებს, ნახონ სატელევიზიო გადაცემები. გასაკვირი როდია, რომ რუტა, იანისი და პეტერისი ცუდად სწავლობენ, გულჩახსნილობით ფიქრობენ ასეთ ბავშვებზე, ცუდად არიან განვითარებული გონებრივად და ფიზიკურად.

— მე ვცვლი ბავშვებს ღმერთზე, — გულწრფელად განაცხადა სასამართლოში იანის ოსმამ.

საზოგადოებრივმა ბრალმდებლებმა ფ. კრეპშმა და გ. გოდინამ, რომლებიც წამოაყენეს კოლმეურნეობა „ვიესიტესაგან“ და ადგილობრივი საშუალო სკოლის კოლექტივისაგან, წინადადება მისცეს სასამართლოს სექტანტ ოსმებს ჩამოართვან შშობლის უფლებანი და გადასცეს მათი ბავშვები აღსაზრდელად სახელმწიფოს, ხოლო შშობლებს გადაახდევინონ ალიმენტები.

სახალხო სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ წინადადებას. იანის და ზენტა ოსმებს, რომლებიც უხეშად თელავდნენ ფეხქვეშ საბჭოთა კანონებს მოზარდთა აღზრდის შესახებ, ჩამოერთვათ შშობლის უფლებანი.

მეგობროობის კონცერტები

ამ დღეებში ბაქოდან დაბრუნდა ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკთან არსებული ანსამბლი „გაზაფხული“, რომელიც რამდენიმე კონცერტით წარსდგა აზერბაიჯანის დედაქალაქის ნორჩი მაყურებლების წინაშე. „გაზაფხულმა“ კონცერტები გამართა ქ. ბაქოს სახელმწიფო დრამატულ თეატრში, საახალწლო ზეიმზე, გაგარინის სახელობის პიონერთა სასახლეში. „მეგობრობის კონცერტთან“ გამოვიდნენ აგრეთვე ბაქოელი ტელემაყურებლების წინაშე.

ანსამბლი „გაზაფხული“ დაარსდა ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით. ბათუმელმა ნორჩმა სტუმრებმა ბაქოელ პიონერებს გადასცეს პიონერთა პარკის სამახსოვრო წიგნები და ალბომები.

ნ. პავლოვა.

ახალი უნივერმაღი

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრში შენობათა ანსამბლს შეემატა უნივერმაღის ახალი ორსართულიანი შენობა, რომელიც ამ დღეებში გადაეცა სპეციალურ ტაციოდ.

მუშეენიერი სანახავია ლამაზად გაფორმებული დარბაზები კარგი გემოვნებით მოწყობილი სეკციებითა და დახლ-მაგიდებით. აქ მყიდველს შეუძლია შეიძინოს მრავალი სახის სამრეწველო საქონელი.

ჩვენი სტუმრები

მღერის ბუჩუჩანუ

ბუქარესტის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა **იულია ბუჩუჩანუმ,** რომლის გასტროლებმა წარმატებით ჩაიარა ამ დღეებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, შეავსო იმ რუმინელ მსახიობთა სია, რომელთა ოსტატობასაც თბილისელები თვალითნი თეატრის სცენაზე გასცნობიან.

ახალგაზრდა მსახიობმა, ბევრი მსოფლიო ფესტივალის (ვენის, ტულუზის, სოფიის და სხვ.) ლაურეატმა შეასრულა კარმენის პარტია ჟ. ბიზეს ამავე სახელწოდების ოპერაში და აზუჩენას პარტია ჯ. ვერდის ოპერა „ტრუბადურში“.

მომღერალს ძლიერი, ღრმა მეცოსპრანო აქვს. ხმის ზედა და საშუალო რეგისტრების კონტრასტული ხასიათი რამდენადმე კონტრასტს ქმნის ზედა რეგისტრების მსუბუქ და ნაკლები სიძლიერის ტემბრთან. მომღერალი ჩინებულად არის დაუფლებული თავის მძლავრ ლამაზ ხმას, რომელიც ნიუანსებში ემორჩილება მის ნებასა და შემოქმედებითს ჩანაფიქრს. აზუჩენას სახეს ვერდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ხედავდა რა მასში შურისგების საწყისს. აზუჩენა ოპერის მეორე გმირია და უხვად არის დახასიათებული კომპოზიტორის მიერ. მკერდისმიერი, ლამაზი ხმის ხრული ყღერით შეასრულა იულია ბუჩუჩანუმ აზუჩენას სიმღერა „ალი ბრიანლებს“ და თხრობა „ბორკილით, ციცხლში, კრულვით“. გარკვეული სცენური ტემპერამენტის მსახიობმა ი. ბუჩუჩანუმ ექსპრესიით ჩაატარა მთელი დიდი სცენა მანრიკოსთან. ნამდვილი დრამატული პათოსით ვაისმა ფრაზა „საკუთარი შვილი დავწვი“.

მომღერალი დიდი მუსიკალობითა და პროფესიული ტაქტით აქსოვს იავნანას მოტივს, რომელსაც აზუჩენა ძილში იმეორებს, ლეონორასა და მანრიკოს ფინალურ დუეტში.

ახალგაზრდა რუმინელი მსახიობის იულია ბუჩუჩანუს სახით ჩვენ ვიხილეთ იშვიათი კონტრალტოს ტემბრის ხმის პატრონი, მეტყველური ფრაზირებისა და თბილი, გულში ჩამწვდომი. ინტერპრეტაციის მომღერალი.

მსახიობის სცენური გარეგნობა ემატება მაყურებელზე მოხდენილ სასიამოვნო შთაბეჭდილებას.

იულია ბუჩუჩანუს გამოსვლები თბილისელებმა გულთბილად მიიღეს. ამ სპექტაკლების წარმატება სამართლიანად გაიზიარეს დანარჩენი პერსონაჟების შემსრულებლებმა და თეატრის მთელმა შემოქმედებითმა კოლექტივმა.

დ. ქავთარაძე.

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლ „კარმენიდან“. კარმენი — იულია ბუჩუჩანუ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ჰინომექანიკოსი

— **რა** მოგვიტანე ჯუდუ?

— 49 დღე, — ღიმილით უპასუხებს ახალგაზრდა კინომექანიკოსი სასოფლო კლუბთან შეკრებილ კოლმეურნეებს და თან მოუთხრობს საინტერესო ეპიზოდებს ახალი კინოფილმიდან. საღამოს კი ფლევის კლუბი სავსეა კინომაყურებლებით.

სად არ ნახავთ მის „მოძრავ კინოს“ — ბრილში, ალში, ცოცხნარაში. სათიეში, ნაბახტევში, ტყოცაში, დუმაცხოვში — ყველგან სასურველი სტუმარია ჯუდუ ხაჩიძე. ის არა მარტო უჩვენებს კინოსურათებს, არამედ ხშირად ესაუბრება მშრომელებს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან მოვლენებზე, აცნობს ახალ ამბებს.

ჯ. ხაჩიძე მოწინავე კინომექანიკოსია ხაშურის რაიონში. კინოორგანიზატორების, სოფლის აქტივის საშუალებით მას მტკიცე კავშირი აქვს მოსახლეობასთან, ყურადღებით ისმენს მათ რჩევასა და სურვილებს. შრომითი მაჩვენებლებიც საამაყო აქვს. გასულ წელს მის მიერ მოწყობილ სეანსებს 13 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

დ. ფარემუზოვი.

სიახლე

მედიცინა და პრაქტიკა

ექიმ-ლაბორანტისათვის

ლაბორატორიულ გამოკვლევათა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სისხლის კლინიკურ ანალიზს. მკურნალი ექიმი პირველი ნაბიჯისთანავე ავადმყოფს მეტწილად ლაბორატორიაში აძლევს მიმართულებას.

ხშირია შემთხვევა, როცა შორეულ მთიან სოფლებში მწოლიარე ავადმყოფთან მიდიან ლაბორატორიის მუშაკები და ეუბნებენ სისხლს საერთო ანალიზისთვის, მაგრამ ძნელდება ლაბორატორიამდე მისი უვნებლად მიტანა. საქმე ის არის, რომ დღემდე არ იყო სპეციალური პორტატიული ჩემოდანი, რომლითაც ლაბორანტს საშუალება ექნებოდა ავადმყოფის გამოსაკვლევი სისხლი „დაუზიანებლად“ მიეტანა ლაბორატორიამდე. დიდ ქალაქებში გამოსაკვლევი სისხლი ხელის ჩანთებით გადაქვთ, მაგრამ მთიან სოფლებში, იქ, სადაც უსწორმასწორო რელიეფია, ასეთი ჩანთები თითქმის გამოუსადეგარია.

ქ. ონის საავადმყოფოს კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის გამგემ ა. მეტრეველმა გადაწყვიტა ხელი მოეკიდა ამ საქმისათვის.

დაუღალავმა შრომამ, შემოქმედებითმა ძიებამ საურველი შედეგი გამოიღო. მის მიერ დამზადებული პორტატიული ჩემოდანი სატარებლად იოლია, კომპაქტურია. მასში ჩამონტაჟებულია ყველა საჭირო ლაბორატორიული ხელსაწყო-იარაღი, თავისუფლად თავსდება 8 ავადმყოფისაგან აღებული სისხლის საერთო ანალიზი, აგრეთვე მთელი რიგი სეროლოგიური, ბიოქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზები.

პორტატიულ ლაბორატორიულ ჩემოდანს მაღალი შეფასება მისცა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გამოგონებისა და რაციონალიზაციის რესპუბლიკურმა ბიურომ, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურმა სამეცნიერო საბჭომ რეკომენდაცია მისცა ა. მეტრეველს ჩემოდნის ქარხნული წესით მასობრივი გამოშვებისათვის.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მკითხველის კალმით

□ ამ უკანასკნელ ხანს ფოთელ ნავსადგურელთა სამსახურში ჩადგა ორი ახალი შენობა. მეზღვაურთა კლუბის გვერდით სამსართულიან შენობაში მოთავსდა პირველი საწარმო რაიონის ადმინისტრაცია, წითელი კუთხე, მუშათა სასადილო და სხვ.

ნავსადგურის ქუჩაზე ბევრმა ნავსადგურელმა ახალმოსახლეობა იხილა ოთხსართულიან სახლში. ახალმოსახლეთა შორის არიან ცნობილი მეკანაზატორები ს. დვალიშვილი, დ. ქობალავა, ჰ. იგაშევი, ვეტერანი მეზღვაური ა. მედვედევი, მძღოლი ვ. ჯგუბურია და სხვები.

კ. კომახიძე.

□ ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების ინიციატივით რაიონში შეიქმნა ბიბლიოთეკები საზოგადებრივ საწყისებზე. რაიონის ცენტრში საზოგადებრივ საწყისებზე ბიბლიოთეკები უკვე მუშაობს ახალქალაქის საყოფაცხოვრებო კომბინატთან, მილიციის რაიგანყოფილებასთან და რაიონის საგზაო განყოფილებასთან.

რ. ჯეირანიანი.

ყინვები სომხეთში

ერევანი, 15 იანვარი. (საკდესის კორ.). უკვე ორი კვირაა თვრამეტი-ოცი გრადუსი ყინვაა სომხეთის დედაქალაქში. არარატის ხეობაში ტემპერატურა უფრო ეცემა — 23 გრადუსი სიცივე. ასეთი ყინვა სომხეთში ძალიან იშვიათია. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან ასეთი ყინვა აქ მხოლოდ ერთ ზამთარს იყო.

სინოპტიკოსების მტკიცებით, უახლოეს დღეებში არ არის მოსალოდნელი დათბობა სომხეთში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ—ᲠᲔᲙᲘᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘ

პირისპირ გროსმაისტერთან

კომუნისტი

ბევრ საერთაშორისო ტურნირში მიუღია მონაწილეობა ჩვენს სახელოვან თანამემამულეს მსოფლიოს ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს და არა ერთი სიხარული მოუგვრია თავისი გულშემატკივრებისათვის, მაგრამ უკანასკნელ წლებამდე ეს წარმატებები შემოიფარგლებოდა მხოლოდ მოკადრაკე ქალებთან ბრძოლით.

ნონა ძალებს ცდის მამაკაცებთან ასპარეზობაში და არცთუ უნაყოფოდ. მას ხომ პასტინგსის გმირი უწოდეს.

ჭადრაკის მოყვარულები უკვე შეეჩვივნენ ნონას გამარჯვებებს, ოსტატთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლა მათ აინტერესებთ, როგორი შედეგები ექნება მსოფლიოს ჩემპიონს გროსმაისტერების წინააღმდეგ. ამ მხრივ ნ. გაფრინდაშვილმა პირველი ოფიციალური ნათლობა გუშინ მიიღო. იგი პირისპირ შეხვდა მსოფლიოში აღიარებულ გროსმაისტერს ისლანდიელ ფ. ოლაფსონს.

გუშინ დილით ჩვენ კვლავ დავუკავშირდით ტელეფონით გაფრინდაშვილს, ნონას უმძიმს თავის თავზე, კერძოდ გათამაშებულ პარტიაზე ლაპარაკი, სამაგიეროდ სიამოვნებით გვიყვება სხვა შეხვედრებზე. მან საუბარი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ტალის იოჰანსონთან პარტიით დაიწყო.

აქ გათამაშდა, — განაგრძობს იგი, — ესპანური პარტია. რიგელი გროსმაისტერი მისთვის ჩვეული კომბინაციური გართულებების ბუნებას დაადგა. შუა თამაშში მან მეტოქეს მოულოდნელად ფიგურა შესწირა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ჩანაფიქრი გონებამახვილური და სავსებით სწორი აღმოჩნდა. ერთბაშად იოჰანსონის მეფე მძლავრი მუჭარის ქვეშ აღმოჩნდა და 26-ე სვლაზე ისლანდიელმა საათი გააჩერა.

ამრიგად, მ. ტალმა სტარტზე ორი გამარჯვება მოიპოვა ზედიზედ და ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

ვეიდ-გლეგორიჩის შეხვედრაში, სადაც გათამაშდა სიცილიური პარტია, იუგოსლავიელ გროსმაისტერს დებიუტიდან არასახარბიელო მდგომარეობა აღმოაჩნდა, მაგრამ ინგლისელმა ოსტატმა შეცდომა დაუშვა და მნიშვნელოვნად გაიუარესა მდგომარეობა. ვფიქრობ, გადადებულ პარტიაში გლეგორიჩს მოსაგები პოზიცია აქვს.

იოჰანესენმა დაამარცხა გუნდუნსონი, პორბერგსონ-ასმუნდსონი კი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები, მათ შორის ჩემი შეხვედრა ოლაფსონთან არ დამთავრებულა.

ჩემი და ოლაფსონის პარტიისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ისლანდიელები. ბრძოლა ესპანურ პარტიაში ორივესათვის რთული აღმოჩნდა. დასაწყისში სვლათა მოფიქრებაზე დიდი დრო დავხარჯეთ და მძიმე ციტნოტში აღმოვჩნდით. ჭადრაკის საათის ალამი ის-ის იყო უნდა ჩამოვარდნილიყო, მაგრამ მოვასწარით ორმოც-ორმოცი სვლის გაკეთება. გადადებული პოზიცია დაახლოებით თანაბარია. თვითეულ ჩვენგანს თითო ეტლი და კუ, აგრეთვე ექვს-ექვსი პაიკი აქვს.

აი გადადებული პოზიცია:

ფ. ოლაფსონი



ნ. გაფრინდაშვილი

თეორები — ნ. გაფრინდაშვილი — მფt3, ეd4, კc2, პპ:a2, b2, c3, e4, g3, h4;

შავები—ფ. ოლაფსონი—მფf6, ეe7, კb7, პპ:a6, b5, c4, f7, g6, h5.

41-ე სვლა ჩაიწერეს შავებმა.

• • •

დღეს ერთმანეთს ხვდებიან: ოლაფსონი — ბიორსონი, ასმუნდსონი — გაფრინდაშვილი, იოჰანესენი — პორბერგსონი, იოჰანსონი — გუნდუნსონი, სოლმუნდარსონი — ტალი, გლეგორიჩი — პალმარინი, ტრიხტონსონი — ვეიდი.

Ლ. ᲨᲢᲔᲘᲜᲘ— ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

გუშინ მოსკოვში სამმა გროსმაისტერმა — ლ. შტეინმა, ბ. სპასკიმ და რ. ხოლმოვმა დაამთავრეს მატჩ-ტურნირი ჭადრაკში სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლენებლად.

ლ. შტეინისათვის ნახევარი ქულაც კი საკმარისი იყო ოქროს მედლის მოსაპოვებლად, ამიტომ გუშინ რ. ხოლმოვთან პარტიაში იგი იშვიათი სიზუსტით იბრძოდა, ერიდებოდა ზედმეტ გართულებებს და 29-ე სვლაზე სასურველ ყაიმს მიაღწია.

ამრიგად, ლვოვის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი გროსმაისტერი ლ. შტეინი პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში. ვერცხლის მედალი მოიპოვა ბ. სპასკიმ (ლენინგრადი). მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა რ. ხოლმოვმა (სოჭი).

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 თებერვალს დღის 2 საათზე № 93 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გულრატ სიფფულა ოღლი ისმაილოვი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „დასავლეთ აზერბაიჯანის უძველესი კულტურის ისტორიიდან (სპილენძ-ბრინჯაოს ხანა)“.

26 თებერვალს დღის 2 საათზე № 1 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 13) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გულნარა ვლადიმერის ასული მიქაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ვლუფის კუნთის შეკუმშვადი ცილების ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური თვისება“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

გორის № 39 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს:

მოსწავლეთა მიღებას 1964-65 სასწავლო წლისათვის შემდეგი პროფესიის მიხედვით: 1. მრთველები, 2. მესოფლეები, 3. მეფთილეები.

პროფტექნიკურ სასწავლებელში მიიღებიან საშუალო, 9-8 და 7 კლასის განათლების მქონე ახალგაზრდები, რომელთა ასაკიც არ აღემატება 25 წელს. საშუალო ცოდნის მქონე ახალგაზრდები, რომლებიც ფრიადზე დაამთავრებენ ტექნიკურ სასწავლებელს, უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ და საღამოს დასწრებულ განყოფილებებზე ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

სწავლის პერიოდი საშუალოდ 1,5 წელია. მოსწავლეებს სწავლის პერიოდი ეთვლებათ საწარმოო სტაჟად. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო ბინით, სტიპენდიით ან სახელმწიფო კვებით. განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით:

1. სამწერლის ატესტატი (დედანი) ან მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი). 3. ავტობიოგრაფია, 4. სამი ცალი ფოტოსურათი (4×5-ზე), 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. პასპორტი.

განცხადებები მიიღება 29 თებერვლამდე.

სწავლა დაიწყება 1964 წლის 1 მარტს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. გორი, ბამბეულის კომბინატი, ბესიკის ქ. № 2. ტელეფონები: 21-53, 28-55 დამატებითი 14.

თეატრები

17 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბერძნული თეატრის გასტროლები. ევრიპიდეს ტრაგედია — მედეა, **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჭეშმარიტ შანშიაშვილის (ფორტეპიანო) კონცერტი, **მარჯანიშვილის სახელობის** — რომეო და ჯულიეტა (მე-17 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — დანაშაული და სასჯელი (მე-3 აბონ. მე-5 წარმოდგენა).

ტელევიზია

17 იანვარი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „შავი თოლია“, 19.40 — სატელევიზიო ჟურნალი „ახალგაზრდული საქმეები“, 20.20 — კინოჟურნალი, 20.30 — გადაცემა — „დავით ბაგრატიონი“, 21.20 — მხატვრული ფილმი „ბატონი მასწავლებელი ჰანნიბალი“, 22.45 — ახალი ამბები.

რადიო

18 იანვარი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — პოპიური „ვენის ეკო“, 11.15 — რუსული საოპერო მუსიკა, 12.10 — გადაცემა (ეკლიდან — „ადამიანები, რომელთა მაგალითი მისაბაძია“, 12.25 — კონცერტი — „ჩვენი თვითმოქმედება“, 13.40 — ლატვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ვაჟთა გუნდის კონცერტი; 17.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „პურატინოს თავგადასავალი“ (გადაცემა პირველი), 18.10 — მუსიკალური რადიოფიშა, 18.45 — „მღერის ივ მონტანი“, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. ნარკვევი „მზის სიმღერა“, 19.45 — მახარაძის რაიონის ვოკალური ანსამბლის „შვიდკაცას“ კონცერტი, 20.15 — „ძილისპირული“, 20.30 — „მხიარულ ტალღაზე“, 21.00 — კონცერტი — „შაბათ საღამოს“, 22.00 — გ. ლონინძე. „ღვინჭყონა“, 23.30 — სერენადები და ბარკაროლები.

კინო

17 იანვარი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი** (მეორე დარბაზი), **კოსმოსი, კომუნარების ბაღი, გაზაფხული, ნაკადული** — **სიყვარული და ოცნება, ამირანი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — **სამალავი ელბაზე, თბილისი, კომკავშირელი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობის პარკი** — **თეთრი ქარავანი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ოფიცერთა სახლი** — **შუაღამის მზესა.**

ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 1963 წლის 4 ივლისის № 106 დადგენილებისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს „საბტრესტის“ 1963 წლის 25 დეკემბრის № 777 ბრძანებით თბილისის ღვინის მე-2 ქარხანა ლიკვიდირებულია 1964 წლის 1 იანვრიდან.

ღვინის მე-2 ქარხნის ხალიკვიდაციო კომისია ითხოვს ყველა საწარმოს და ორგანიზაციას, ვისაც რამე პრეტენზია აქვს ქარხნისადმი, შემოიტანონ განცხადი ამის შესახებ 1964 წლის 5 თებერვლამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

ᲮᲐᲚᲘᲙᲘᲓᲐᲪᲘᲝᲜ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

კომუნისტი **КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443**

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 8-08-67 პ/მგ მდივნის — 9-72-50, ხამდივნისა — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული 9-87-61, მრეწველობის — 8-20-43, მარქსის